

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts



გრაგნილი ხელნაწერები — ინტერდისციპლინური კვლევა

SCROLL MANUSCRIPTS — INTERDISCIPLINARY STUDY

თბილისი 2023 Tbilisi

წინამდებარე გამოცემა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგრანტო პროექტის – „გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“ (FR 21-695) ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This publication was implemented with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation within the framework of the grant project of the National Center of Manuscripts - “Interdisciplinary Research of Scroll Manuscripts” (FR 21-695).

Any idea in this publication belongs to the author and may not represent the opinion of the Rustaveli National Science Foundation itself.



ავტორები:

ლელა შათირიშვილი
ნესტან ჩხიკვაძე
შორენა თავაძე
მანუჩარ გუნცაძე

AUTHORS:

Lela Shatirishvili
Nestan Tchkhikvadze
Shorena Tavadze
Manuchar Guntsadze

რედაქტორი:

ლელა შათირიშვილი

EDITOR:

Lela Shatirishvili

კონსულტანტი: პროფესორი ერიხ რენჰარტი, დოქტორი, გრაცის კარლ ფრანზენის უნივერსიტეტი, ხელნაწერთა დეპარტამენტი – სპეციალური კოლექციის და VESTIGIA-ს ხელნაწერთა კვლევის ცენტრი, ავსტრია.

CONSULTANT: Professor Erich Renhart, PhD, Karl-Franzens-University of Graz, Department of Manuscripts – Special Collection & VESTIGIA – Manuscript Research Centre, Austria

დიზაინი და**დაკაბადონება:**

მანუჩარ გუნცაძე

DOI: 10.6084/m9.figshare.22093460

ISBN 978-9941-9811-2-8

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

© ლ. შათირიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, შ. თავაძე, მ. გუნცაძე

შინაარსი

ლელა შათირიშვილი / LELA SHATIRISHVILI

პროექტი „გრაგნილი ხელნაწერების

ინტერდისციპლინური კვლევა“

(ამოცანები და მიზნები) / THE PROJECT

“INTERDISCIPLINARY STUDY OF SCROLL MANUSCRIPT“

(RESEARCH AIMS AND OBJECTIVE).....5

ნესტან ჩხიკვაძე / NESTAN CHKHIKVADZE

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ

ნიშნთა ფონდში დაცული გრაგნილების კვლევის

მნიშვნელობისათვის / ON THE IMPORTANCE

OF STUDYING HANDWRITTEN SCROLLS.....18

შორენა თავაძე / SHORENA TAVADZE

გრაგნილი ხელნაწერების კონსერვაცია

(ებრატის საწერი მასალა) / CONSERVATION

OF THE SCROLL MANUSCRIPTS

(PARCHMENT WRITING MATERIAL).....32

მანუჩარ გუნტაძე / MANUCHAR GUNTSADZE

ქართული გრაგნილი ხელნაწერების

ელექტრონული მონაცემთა ბაზა / DATABASE

OF GEORGIAN SCROLL MANUSCRIPTS.....43

გამოყენებული ლიტერატურა.....46

პროექტი „გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“

(ამოცანები და მიზნები)

გრაგნილი ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. იგი მზადდებოდა სხვადასხვა საწერი მასალის - ქილის, ეტრატისა და ქალაღდის- გადაკერებული, შენებებული ან მთლიანი ფორმა-ტის ნაწილებისაგან; საწერი მასალის განვითარებამ წარმოქმნა ფურცლებად აკინძული კოდექსი, წიგნის მთავარი სახეობა, თუმცა გრაგნილიც, როგორც ხელნაწერის ერთ-ერთი ფორმა, დარჩა მცირე მოცულობის სასულიერო თუ საერო დარგის, ასევე ისტორიული დოკუმენტების სხვადასხვა ტექსტისათვის (სიგელები, შეწირულობის წიგნები და სხვ.). გრაგნილები ინახებოდა წაგრძელებულ მომრგვალებულ ბუდეებში. ისინი დახვეული იყო ჯოხზე, ე.წ. კონდაკზე, ან გვხვდებოდა ჯოხის გარეშეც.

საქართველოში, სხვადასხვა სიძველეთსაცავში, ინახება ეტრატსა და ქალაღდზე (არც ერთი პაპირუსზე) შესრულებული გრაგნილი ხელნაწერები, რომლებიც თემატურად და სტრუქტურით საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს. ეს ხელნაწერები გადანერილია წინასწარ საგანგებოდ დამზადებულ კეფებზე, ადრეული ხელნაწერების (პალიმფსესტები) კეფებად დაჭრილ ფურცლებზე ან საწერი მასალის პატარა, სხვადასხვა ზომის, ფურცლებზე.

როგორც ისტორიული წყაროებით ირკვევა, გრაგნილი საკმაოდ მოუხერხებელი იყო გამოსაყენებლად. მკითხველს ორივე ხელით უნდა გადაეხვია გრაგნილი, თან ხელში ისე უნდა სჭეროდა, რომ კითხვა კომფორტული ყოფილიყო მისთვის. საკითხავის დასრულების შემდეგ კი გაშლილი მასალის დახვევა და კვლავ წასაკითხავად მომზადება ქმნიდა სირთულეებს (ერთ-ერთი წყაროს მიხედვით,

ოთხმოცდასამი წლის რომის კონსულს, ვერგინიუს რუფუსს, გრაგნილი იატაკზე დაუვარდა, რადგან უჩვეულოდ მძიმე იყო დიდი ზომის გამო; დაიხარა მის ასაღებად, დაეცა, ბარძაყი მოიტეხა (პლინიუს უფროსი, წერილები, I. 1, 5) (Meqrep 2013: 13).

ქრისტიანობის გარიჟრაჟზე ქრისტიანული თემების წარმომადგენლებს გრაგნილებში წმინდა წერილის ცალკეული ფრაგმენტის ძებნა უჭირდათ. II საუკუნის დასაწყისში (ან, შესაძლოა, I საუკუნის ბოლოსაც კი) მათ აქტიურად დაიწყეს საეკლესიო ცხოვრებაში კოდექსის, ანუ ფურცლებისგან შეკერილი წიგნის, გამოყენება. კოდექსი მზადდებოდა შუაში გაკეცილი პაპირუსის ფურცლების შეკერვით. აშკარა იყო, რომ წიგნის ამ ფორმას მრავალი უპირატესობა ჰქონდა გრაგნილთან შედარებით. ჭილს, ანუ პაპირუსს, ნელ-ნელა მეტოქედ გამოუჩნდა ეტრათი, რომელზეც ორივე მხარეს შეიძლებოდა წერა. ეს კი წიგნების დამზადების პროცესს უფრო ხელმისაწვდომს ხდიდა. სწორედ ქრისტიანებმა მიიღეს და გაავრცელეს კოდექსი (Meqrep 2013: 13).

როგორც ვხედავთ, საწერი მასალის განვითარებამ წარმოქმნა ფურცლებად აკინძული კოდექსი, წიგნის მთავარი ტიპი, თუმცა გრაგნილიც, როგორც ხელნაწერის ერთ-ერთი ფორმა, კვლავ ჩნდება მცირე მოცულობის სასულიერო თუ საერო დარგის თხზულებებისათვის, რომელთაგან აღსანიშნავია ჟამისწირვები, ავგაროზები, სამონასტრო კანონი „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ასევე ისეთი ისტორიული დოკუმენტები, როგორებიცაა: სიგელები, შეწირულობის წიგნი და სხვა. გრაგნილად შეკინძულ საწერ მასალაზე ტექსტის დასრულებას უფრო მცირე დრო სჭირდებოდა, ვიდრე კოდექსზე, რადგან მასზე მოკლე ტექსტები იწერებოდა.

ტერმინი „გრაგნილი“ დახვეულს/ხვეულს ნიშნავს. ეს ლექსემა გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში, რომლებშიც მას ხვეულის მნიშვნელობა აქვს. წყაროების მიხედვით, გრაგნილი შეიძლება, იყოს წიგნი, სამოსელი, ან სულ სხვა რამ, მაგ., ბუნების სტიქია.

- განგრაგნა (ზმნა: გაშალა): და ვიხილე და, აჰა, ჯელი განმარტებული ჩემდამო, და მას შინა თავი წიგნისაჲ. და გ ა ნ გ რ ა გ ნ ა იგი წინაშე ჩემსა და იყვნეს მას შინა

დაწერილები წინა და უკან“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი 2, 6).*

- გრგანილი ნახვეული: „და თქვა უფალმან ჩემდამო: მი-იღე შენდად გ რ ა გ ნ ი ლ ი ქარტისა ახლისა დიდისა“ (ესაია 8, 1) (ორბელიანი 1991: 168).
- წარგრაგნილი-გახვეული: „მიუგო მღდელმან მან და ჰრქვა: აჰა, ეგერა, ჴმალთი იგი გოლიადისა, უცხო თესლისა მის, რომელ შენ მოჴკალ ღელესა მას ელისსა, წ ა რ გ რ ა გ ნ ი ლ ი სამოსლითა ძეს, იგი თუ მიგაქუს, მიიღე; ხოლო მახვლი არა არს ჩემ თანა, თვნიერ მისა. მიუგო დავით და ჰრქუა: მომართუ მე იგი, რამეთუ არა არს მისა უმჴობესი! მოიღო აქიმელექ ჴმალთი იგი და მისცა მას“ (პირველი მეფეთა 21,9).
- ქარბორბალა, ანუ ამოტრიალებული ძაბრის ფორმის გრიგალი, ანუ გრაგნილი: „მოუჴდა ქარი გ რ ა გ ნ ი ლ ი, ღელვა ვრცელი და წარიტაცა ნავი“ (ნიკოლოზ. ცხ (!) (აბულაძე 1973: 96).

ერთმანეთზე გადაკერებულ და გადანებებულ ფურცლებს/გვერდებს, რომელთაგანაც შედგება გრაგნილი, კეფი (ჯავახიშვილი 1949: 61; 63; 1996: 70-71) ეწოდებოდა. ეს სიტყვა გვხვდება ძველი აღთქმის ტექსტებშიც და იძებნება ძველი ქართული ენის ლექსიკონებშიც. აღიარებულია ტერმინადაც გრაგნილების ფურცლების/გვერდების აღსანიშნავად.

- „და იყო, აღმო-რაჲ-იკითხის ივდი სამი კ ე ფ ი, ანუ ოთხი, მოჴკუეთდის მათ საჭრელითა მნიგნველისაჲთა და შთააგდებდის ცეცხლსა კერაკსა მას ზედა, ვიდრემდის არაჲ დააკლდა წიგნისაჲ ცეცხლსა მას კერაკათასა“ (იერემია, 36, 23);

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს:

- „წერილთა ფურცელთა ეწოდების კეფი“ (ორბელიანი 1991: 344).

გრაგნილთან დაკავშირებული ტერმინები ცოტაა. დღემდე ცნობილია სულ რამდენიმე ლექსიკური ერთეული, ტერმინებად დამკვიდრებული, რომლებიც უკავშირდება გრაგნილი ხელნაწერის ფორმას. ესენია: „გრაგნილი“, „კეფი“, რომელიც გრაგნილის შემადგენელი ფურცლის აღმნიშვნელი სიტყვაა; გრაგნილის დასახვევ ჯოხსაც აქვს თავისი სახელწოდება „კონდაკი“. ამ ჯოხს ბერძნულად

* ბიბლიური ციტაციის დასამოწმებლად ვიყენებთ გამოცემებს: 1. ბიბლია, ძველი აღთქმა, I- II, თბ., 2017; 2. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985.

კონტოს (κοντός) ეძახდნენ, საიდანაც წარმოდგა სახელი კონდაკი (Κονδάκιον) (კეკელიძე 1980: 580). კონდაკი, ჯოხის გარდა, ეწოდება ეტრატის ერთმანეთზე გადაკერებული ფურცლების გრაგნილს, რომელსაც ქართულად „ჟამისწირვა“ შეესატყვისება. სხვა ტექსტების შემცველ გრაგნილებს (ავგაროზის, მირონის დამზადების, შეწირულობის და სხვ.), რომლებიც ჯოხზეა დახვეული, არც ბერძნული და არც ქართული შესატყვისის საგანგებო სახელები არ აქვს.

გრაგნილთან დაკავშირებული ტერმინის შექმნის საჭიროებას გრძნობდა ლ. მუსხელიშვილი და ცდილობდა ქართულ ენაში დაეძებნა შესაფერისი, გამოსადეგი სიტყვა; მას ფშაურ დიალექტში უპოვია სიტყვა ყ უ ბ ა რ ი. მის სამეცნიერო ნაშრომ „ვაჰანის ქვაბის განგებაში“, სქოლიოში, ვკითხულობთ: „ასე ეძახიან, როგ. ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა გადმომცა, ფშავში იმ ხის ტაბიკს, რომელზედაც დაიხვევა გრაგნილი; ჩვეულებრივად ყუბარი ორია, ერთი გრაგნილის თავში, მეორე ბოლოში, რომ მისი გაშლა ადვილი იყოს“ (მუსხელიშვილი 1939: 19). სამწუხაროდ, ეს ლექსემა ტერმინად ვერ დამკვიდრდა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი განმარტება გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ არსებობდა გრაგნილები, რომლებიც ორ ჯოხზე იყო გადახვეული, თუმცა პროექტის წევრებს ერთი წლის განმავლობაში შესწავლილ 35 ერთეულ გრაგნილში ორ ჯოხზე გადახვეული ხელნაწერები არ შეხვედრიათ, სამაგიეროდ, ცალ ჯოხზე (ან ჯოხის გარეშე) დახვეული ქართული გრაგნილები, როგორც ზემოთაა აღწერილი, იხსნება ვერტიკალურად ისე, რომ დამწერლობა ჯოხის პარალელურადაა. გრაგნილების გაშლა შესაძლებელია არა მხოლოდ ზემოთ და ქვემოთ, არამედ მარჯვენა და მარცხენა მხარესაც, ნაწერი კი მოთავსებულია ჯოხების/ღეროების პერპენდიკულარულად რამდენიმე სვეტში. ქართულში ორივე გაშლის ხელნაწერს გრაგნილი ჰქვია, ევროპული წყაროების მიხედვით კი, პირველი სახის გრაგნილს (ვერტიკალური გაშლით) როტულა rotula (მრავლობითი rotulae) ან rotulus (მრავლობითი rotuli) ეწოდება, მეორე სახისას (ჰორიზონტალური გაშლით) – Volumen-ი.

გრაგნილი ხელნაწერების უძველესი ნიმუში, რომელიც დღემდეა შემორჩენილი, სავარაუდოდ, IX-X საუკუნეებით თარიღდება, ხოლო

ყველა დანარჩენი გრაგნილის ქრონოლოგიური ჩარჩო ემთხვევა საქართველოში XIII-XIV სს.-ის შემოსევებით დაწყებულ კრიზისულ ეპოქებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამეცნიერო ცხოვრება, ლიტერატურული საქმიანობა, ხელნაწერი კულტურის შექმნა-გადარჩენა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური კრიზისის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად გრძელდებოდა. ეს იყო სახელმწიფოს, ხელისუფლების ნება. სახელმწიფოს საყრდენი იყო იდეოლოგია, რომელიც ვლინდებოდა კულტურით, მათ შორის ლიტერატურით.



უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე გრაგნილების კვლევას არ დასთმობია საგანგებო ყურადღება და არ შესწავლილა ის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, სტრუქტურულ-კონსერვაციული თვალსაზრისით. ხელნაწერთმცოდნეობა თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწორედ ის მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის ხელნაწერ მემკვიდრეობას.

გრაგნილი ხელნაწერები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის ხელნაწერთსაცავებში: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (A, H, S, Q), ეროვნულ არქივში, ქობულეთის, ზუგდიდის, ქუთაისის, მესტიის, გორის, ხაშურის მუზეუმებში, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში. გრაგნილი ხელნაწერები ქრონოლოგიურად მოიცავს IX-XIX საუკუნეებს. თემატურად უმრავლეს ნაწილს შეადგენს სასულიერო შინაარსის, ლიტურგიკული თხზულება კონდაკი, ანუ ჟამისწირვა (იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის), წირვის წესი, ავგაროზები; ასევე გვხვდება სულთა მატთანე, გენეალოგიური ნუსხები და სხვა შინაარსის ტექსტები.



ბასილი დიდის ჟამისწირვა, XII ს., ეტრატი, ნუსხური, 7 კეფი. S 4980-r





კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალა



საქართველოს ეროვნული არქივის მასალა



ნიკო ბარძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი



პროექტის – „გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“ – მიზანია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (72 ერთეული), საქართველოს ეროვნულ არქივსა (8)¹ და ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერ ფონდებში დაცული ქართული ხელნაწერი გრაგნილების (7) მულტიდისციპლინური შესწავლა.

გრაგნილებით მოღწეული ქართული ტექსტები - ლიტურგიკული თხზულებები, აპოკრიფული ტექსტები, სულთა მათიანეები და სხვ. - ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნიმუშებია.

გრაგნილი, როგორც წიგნის ფორმა, საგანგებოდ არავის უკვლევია, არც ის, რა შინაარსის ტექსტები იწერებოდა ამ ფორმის წიგნზე და რა იყო ამისი მიზეზი, როდის იწყებს ქრისტიანულ მწერლობაში შემოსვლას გრაგნილი და რა დანიშნულებით. ამგვარი თვალსაზრისით გრაგნილი შესწავლილი არ არის, მის შესახებ არ არსებობს ხელმისაწვდომი ინფორმაცია ფართო სამეცნიერო წრეებისათვის.

გრაგნილების კვლევას, მათ ინტერდისციპლინურ შესწავლას აფერხებს ასევე ერთიანი საძიებო ბაზის არარსებობა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება გრაგნილი ხელნაწერებით მოღწეული ტექსტების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემები და მათი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შეფასება, კონსერვაციისთვის სასურველი რეკომენდაციების შემუშავება; თითოეული ერთეულის დაზიანების დიაგნოსტიკა და დაცვის პირობების განსაზღვრა.

პროექტი თავისი არსით ინოვაციურია, რადგან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პრაქტიკაში ჯერ არ ჩატარებულა კომპლექსური, სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევა გრაგნილ ხელნაწერებზე.

კოდიკოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ მასალის ინტერდისციპლინური კვლევა ახალ საშუალებებს იძლევა ქართული ხელნაწერი გრაგნილების საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვის, მათი დაცვის, კონსერვაცია-რესტავრაციის

¹ არქივის ხელნაწერთა ფონდის 1446/413-ში ინახება ორი ერთეული: 1446/413ა და 1446/413 ბ, რაც გაირკვა უშუალოდ კონკრეტული ერთეულების შესწავლის შემდეგ.

ახალი მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით.

2022 წელს შოთა რუსთაველის ფონდის გამარჯვებული პროექტის — „გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“ — მიზანია:

1. გრაგნილების სისტემატიზაცია, რაც გულისხმობს გრაგნილით მოღწეული ტექსტების თემატურ-ჟანრობრივ სისტემატიზება-კვლევას;
2. სასულიერო შინაარსის ტექსტების ანალიზი;
3. გრაგნილი ხელნაწერების მხატვრული გაფორმების, მოხატულობის მიმართება უშუალოდ ხელნაწერის ტექსტთან;
4. გრაგნილ ხელნაწერებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის მოძიება, ახალი ტერმინების შექმნა და მიმოქცევაში შემოტანა.
5. ეტრატის ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც თავდაპირველად საგრანტო პროექტში გათვალისწინებული არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ დახვეულმა ფორმამ და გრაგნილის ამ სახით შენახვამ აჩვენა, რომ ეტრატზე დროთა განმავლობაში ჩნდება ძლიერი და უმნიშვნელო დაზიანებები. ამ დაზიანებათა აღმოფხვრა შესაძლებელია ხელნაწერი მასალის ზედაპირზე მიმდინარე დაზიანების პროცესების (ეტრატის გამოშრობა, დეფორმაცია, დაკანონვისა და დახვევის შედეგად გაჩენილი მექანიკური ჩახევები, მექანიკურად დაბინძურებული ზედაპირი და სხვ.) ლაბორატორიული კვლევითა და დიაგნოსტიკით, რათა განისაზღვროს პრევენციული კონსერვაციის ოპტიმალური მეთოდები. ეს მეთოდები კი ხელს შეუწყობს დაცვის პირობების შემუშავებას, საწერი მასალის სტუქტურულ კვლევას.
6. გრაგნილი ხელნაწერების სრულყოფილი ანალიზი ტექსტოლოგიებისა და კონსერვატორ-რესტავრატორის ჩართვით, რაც მკვლევრებს დაეხმარება გრაგნილი ხელნაწერების შესწავლაში, რადგან, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მხოლოდ კოდიკოლოგ-ტექსტოლოგიისა და რესტავრატორის ერთობლივი მუშაობისას, შესაძლებელია, გამოჩნდეს ის მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც რესტავრაციის დაწყებამდე ძნელად შე-

სამჩევია. ამ ორი სფეროს სპეციალისტების თანამშრომლობა ცხადყოფს, რომ ხელნაწერის ერთობლივად შესწავლა გაცილებით უფრო ნაყოფიერია, რადგან ასეთ თანამშრომლობას მოაქვს ახალი ინფორმაცია მკვლევართათვისაც და რესტავრატორებისათვისაც. მეთოდების მრავალგვარობით, ინტერდისციპლინურობით, შინაარსით ამგვარი კვლევა გრაგნილი ხელნაწერის სრულყოფილად შესწავლას შეუწყობს ხელს; მისი დაცვის, კონსერვაცია-რესტავრაციისათვის რეკომენდაციების შემუშავებას შეუქმნის საფუძველს. ხელნაწერი წიგნის ამ ტიპის კომპლექსური მეცნიერული შესწავლა თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე არის კოდიკოლოგიურ-სტრუქტურული კვლევის ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი.

7. საგრანტო პროექტის შედეგად გრაგნილი ხელნაწერების შესახებ შეიქმნას პროდუქტები – ბეჭდური და ელექტრონული – ქართულსა და ინგლისურ ენებზე.

THE PROJECT “INTERDISCIPLINARY STUDY OF SCROLL MANUSCRIPT”

(RESEARCH AIMS AND OBJECTIVE)

SUMMARY

The scroll manuscript is one of the earliest forms of book. It was made of sewn, glued or whole format parts of various writing materials (rugs, parchment and paper). The development of writing material led to the binding of the Codex into sheets, the main type of book, although the scroll, as one of the forms of manuscript, remained a small volume for theological or secular fields, as well as for various texts of historical documents (deeds, donation books, etc.). Scroll books were kept in elongated rounded cases. They were wrapped around a stick, or were found without a stick.

Georgian manuscript funds contain scroll manuscripts made on parchment and paper (none on papyrus), which are thematically and structurally interesting research material. It should be noted that up to now, the study of scrolls in Georgian manuscripts has not received special attention and has not been studied from a codicological-textological, structural-conservation point of view.

Codicology is an important field of modern humanities that comprehensively studies manuscript heritage. Within the project it is important to find out if standard parchment and paper were used as writing material for the scroll, or if the writing material was specially made for the scroll because the scrolls had a curved shape. These units therefore require extraordinary study, from a structural point of view.

The scroll manuscripts are preserved in Georgian and foreign manuscript repositories: in the National Center of Manuscripts (A, H, S, Q), in the National Archives, in the museums of Kobuleti, Zugdidi, Kutaisi, Mestia,

Gori, Khashuri, in the State Library of Berlin and at St. Petersburg Institute of Oriental Manuscripts. The scroll manuscripts chronologically cover the IX-XIX centuries. The thematically most of them are theological content, liturgical works Kotakion (of Ioane Okropiri and Basil the Great) and the Avgarozes (amulets), as well as the Chronicle of the Souls, the liturgy, genealogical lists and other texts.

The scroll manuscripts chronologically cover the IX-XIX centuries. The thematically most of them are theological content, liturgical works Kon-takion (of Ioane Okropiri and Basil the Great) and the Avgarozes (amulets), as well as the Chronicle of the Souls, the liturgy, genealogical lists and other term.

The aim of the project is a multidisciplinary study of Georgian manuscript scrolls preserved in manuscript funds at the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts (72 units), the Georgian National Archives (8) and the Niko Berdzenishvili State Museum (7) in Kutaisi:

- codicological-textological research;
- analysis of liturgical-dogmatic features according to the textological material;
- determination of artistic value;
- diagnosing the structure of manuscript material;
- developing protection conditions;
- creating a database and incorporating existing material into international scientific circulation;
- research publication in Georgian and English languages.

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ
ნიშნთა ფონდში დაცული გრაგნილების
კვლევის მნიშვნელობისათვის**

ქართულ გრაგნილ ხელნაწერებზე მუშაობის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების განხილვის პარალელურად ყურადღებას იმსახურებს დახვეწულ ხელნაწერ მასალაზე შექმნილი წერილობითი ძეგლების დანიშნულების, მათი პრაქტიკული ფუნქციის განსაზღვრის საკითხიც. გრაგნილიც ხომ ხელნაწერის ერთ-ერთი ფორმაა, გარკვეული დროისა და სივრცის საჭიროებით ჩამოყალიბებული, ამიტომაც მისი მნიშვნელობისა და თავისებურებების განხილვა ხელნაწერი კულტურის ისტორიის საინტერესო საკითხთა რიგს განეკუთვნება. ქართული ხელნაწერის მრავალწლიანმა ფუნდამენტურმა კვლვამ კი თვალნათლივ ცხადყო, რომ ჩვენი სამნიგნობრო ტრადიცია ზედმიწევნით ასახავს შუა საუკუნეების ხმელთაშუა ზღვის სამწერლობო სივრცეში მიმდინარე პროცესებს და იმ კულტურულ-ისტორიულ კონტაქტებს, რომელთა წიაღშიც ვითარდება ქართული ხელნაწერი ტრადიცია. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის, რასაც ჩვენ დღეს კულტურული ურთიერთობების ქრილში განვიხილავთ, თავის დროზე სახელმწიფო ცხოვრების ორგანიზაციის წინაპირობას წარმოადგენდა და ამ მოტივითაც იყო ნაკარნახევი. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ სასულიერო მწერლობის ქართული თარგმანების იერუსალიმურ თუ კონსტანტინეპოლურ რედაქციებზე, სამონასტრო, სამრევლო, ე.წ. საზეიმო თუ სათანაო წიგნებზე, ჩვენ პრაქტიკულად ვეხებით ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის, როგორც სახელმწიფო ცხოვრების ერთ-ერთი საყრდენის, სოციალურ-პოლიტიკური მოწყობისა და გარკვეული თვალსაზრისით უფლებრივ-მოვალეობრივი ორგანიზაციის საკითხებსაც კი. სწორედ ამ პრობლემებზე დაფიქრებისკენ გვბიძგებს გრაგნილ ხელნაწერთა შესწავლაც.

შუა საუკუნეების ხმელთაშუა ზღვის წერილობითი კულტურების ისტორიის განხილვისას ნათელი ხდება, რომ გრაგნილი, რომლის უძველესი ნიმუშები პრეჟრისტიანულ ხანას განეკუთვნება, ეტრატის საწერი მასალისაგან დამზადებული კოდექსის ჩამოყალიბებისთანავე თმობს პოზიციას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ გადამწყვეტი როლი ტექსტების მოცულობამ და ხელნაწერთა გამოყენების სიხშირემ შეასრულა, ვინაიდან ვრცელი და მოცულობითი ტექსტების გრაგნილზე გადანერა მათი პრაქტიკული გამოყენებისას, ანუ კითხვის პროცესში, ბევრ სირთულეს ქმნიდა. ამიტომაც უკვე შუა საუკუნეების ხმელთაშუა ზღვის წერილობით ტრადიციებში, რომლებთან მჭიდრო კავშირშიც ვითარდება ქართული ხელნაწერი კულტურა, გრაგნილის ფორმის ხელნაწერის ადგილი დაიკავა დოკუმენტებმა, ქრონიკალურმა ჩანაწერებმა, მცირე ფორმის საეკლესიო-სარიტუალო მითითებებმა, ალაპებმა, სამედიცინო თუ ალქიმიური ხასიათის ჩანაწერებმა და ე.წ. დამცავი შინაარსის, ანუ თილისმის ფუნქციის ტექსტებმა (Roberts 1984; Tyson 2001: 107-118; Skemer 1995: 193-206; Dufour 2009; McCallum- Ian 1996: 39-49). თითქმის ანალოგიური ვითარებაა ჩვენს სამწერლობო ტრადიციაში. კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცულ გრაგნილის ფორმის ხელნაწერებზე უმთავრესად გადანერილია ისტორიული დოკუმენტები - შეუვალობის, თარხნობის, წყალობისა და სასიხლო სიგელები, შეწირულობათა, ფიცის, ერთგულებისა და საჩივრის წიგნები, თუმცა ცენტრის ხელნაწერ წიგნთა ფონდში გვხვდება გრაგნილზე გადანერილი იმ შინაარსის ტექსტებიც, რომელთაც სამწერლობო-სალიტერატურო ტრადიციის ისტორიის ქრილში განიხილავენ და იკვლევენ. ჩვენი პროექტის კვლევის საგანსაც სწორედ სალიტერატული ტექსტების შემცველი გრაგნილები წარმოადგენენ.

ბოლო დრომდე ამ ორი განსხვავებული ჯგუფის (დოკუმენტური და სალიტერატურო) გრაგნილებიდან მკვლევართა ყურადღება ძირითადად ფოკუსირებული იყო ისტორიული დოკუმენტების შემცველ გრაგნილებზე, რომლებიც პალეოგრაფიულ და წყაროთმცოდ-

ნეობით მნიშვნელობას არაერთი გამოკვლევა და ტექსტების პუბლიკაცია მიეძღვნა (კორპუსი (1) 1984, (2) 2013, (3)2014, (4)2016). ამ რიგის ძეგლთაგან ყურადღებას შევაჩერებთ „ვაჰანის ქვაბთა განგებზე“, როგორც ერთი ჯგუფის (სასულიერო შინაარსის) სალიტერატურო გრაგნილების მომიჯნავე ძეგლზე (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით). XIII ს-ით დათარიღებული ეს გრაგნილი, როგორც მას კ.კეკელიძე უწოდებს (კეკელიძე 1980: 576-577), კტიტორული ტიპიკონია. სასულიერო მწერლობის ისტორიის ქრილში შესწავლილი ტიპიკონებისაგან, ანუ სამრევლო და სამონასტრო ღვთისმსახურების მარეგულირებელი წიგნებისგან განსხვავებით, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ წარმოადგენს სამონასტრო ცხოვრების რეგლამენტაციის, სამღდლო პირთა და ბერ-მონაზონთა უფლებრივ-მოვალეობრივი ურთიერთობების განმსაზღვრელ კანონს და, შესაბამისად, მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, როგორც სამხრეთ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო და შუა საუკუნეების ქართული კორპორატიული სამართლის ძეგლი. ტექსტიცა და უხვი მინაწერებიც შესწავლილი და რამდენჯერმე გამოცემული (ჟორდანიას 1896; მუსხელიშვილი 1939; ტალახაძე 2009). „ვაჰანის ქვაბთა განგების“, როგორც დოკუმენტის, გრაგნილზე გადაწერა სავსებით შეესაბამება შუა საუკუნეების დოკუმენტების წარმოების წესს. ჩვენ ამ ძეგლსა და ხელნაწერის ფორმაზე არც კი გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა ამავე შინაარსის, ანუ სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის საკითხზე შედგენილი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც კოდექსის ფორმითაა გადაწერილი.ტექსტი შესწავლილი და გამოცემულია (შანიძე 1971). აღნიშნული მაგალითი გვავარაუდებინებს, რომ საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების რეგლამენტაციასთან დაკავშირებული ძეგლები, რომლებიც ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის ადრეულ პერიოდში საეკლესიო-სამონასტრო დანიშნულების კოდექსების შემადგენლობაში შედიოდა, დროთა განმავლობაში არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ფორმითაც გრაგნილზე გადაწერილი დოკუმენტის სახეს იძენენ.

კვლევისა და პუბლიკაციის თვალსაზრისით სხვაგვარი ვითარებაა ე.წ. სალიტერატურო გრაგნილების შემთხვევაში. დღემდე ისინი

არ მოქცეულა სკრუპულოზური კვლევის ობიექტივში. მკვლევართა მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების არსებობას, საფიქრებელია, გარკვეულმა ობიექტურმა მიზეზებმაც შეუწყო ხელი. ამ მიზეზთა შორის უმთავრესია შემდეგი:

- საღიგეიატუხო ტექსტების შემცვედ გიაგნიდთა მცირე ხაზოღენობა და ფხაგმენგუდი ხასიათი. მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერ წიგნთა 10 000-იან ფონდში სალიტერატურო შინაარსის გრაგნილი მხოლოდ 72 -ია.
- მათი წახმოშობის ქჰონოროგიუხი ზღვხები. გარგნილთა უმეტესი ნაწილი, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, XIII-XIX სს-ით თარიღდება.
- ეხთი შეხედვით, ეთფეხოვანი ღიგეიატუხუდი შემადგენდობა. ძირითადი რაოდენობა ამ სახის გრაგნილებისა წარმოადგენს ჟამისწირვებს, ანუ კონდაკებსა და ავგაროზებს, მცირე ჯგუფი კი - სულთა მათიანეებს, სხვადასხვა საეკლესიო რიტუალთან (მრონის შემზადებისა და კურთხევის წესი) დაკავშირებულ ტექსტებს, ლოცვებსა და შელოცვებს და, ასევე, ცალკეულ გვართა (ბაგრატიონთა, თუმანიშვილთა, თაქთაქიშვილთა) გენიალოგიებს. თუკი მხედველობაში არ მოვიღებთ გენიალოგიებისა და სულთა მათიანეების ტექსტებს, სალიტერატურო გრაგნილებზე არსებული ზემოთ დასახელებული ძეგლები გაცილებით ადრეულ კოდექსებშია გადაწერილი, მკვლევართა მიერ დაწვრილებით აღწერილი და განხილული ერთიანი კოდექსი მნიშვნელობის თვალსაზრისით (Кекелидзе 1908: 48, 52, 87, 93, 100, 163, 178-179, 191-192, 195, 197, 206-207, 209, 218, 220; აღწერილობა (H-2) 1951: 15-16; აღწერილობა (A-1/1) 1973: 44-46, 275-277, 297-300; აღწერილობა (სინა-3) 1987: 201-202; ჩიკვაძე 2007).

გრაგნილი ხელნაწერების მიმართ პროექტის ყურადღება მიიპყრო სწორედ ამ სამივე მიზეზმა. დაიბადა რამდენიმე არსებითი კითხვა:

- იყო თუ არა გრაგნილი ქართული ხელნაწერი წიგნის ისტო-

რიის ადრეულ პერიოდში შემუშავებული ფორმა, თუ ჩვენმა სამწერლობო ტრადიციამ შედარებით გვიან მიაპყრო მას ყურადღება?

- საღვთისმსახურო პრაქტიკისა თუ ქრისტიანული მოძღვრების სრულყოფილი შესწავლა-გააზრების მიზნით ტექსტების თავმოყრით ჩამოყალიბებული კრებულებისა (მრავალთავეები, შერეული კრებულები) და ლიტურგიკული კოდექსების სიმრავლის პირობებში რამ უბიძგათ ქართველ მწიგნობრებს ევქარისტული ლიტურგიის უმთავრესი სახელმძღვანელო ძეგლი - ჟამისწირვა სხვა კურთხევათა თუ ღოცვათა გარეშე გადაეწერათ გრაგნილზე, რომლის პრაქტიკული გამოყენება, მიუხედავად ტექსტის მოცულობისა, მსახურების დროს გაცილებით ბევრ სირთულეს შექმნიდა, ვიდრე კოდექსისა. ამ საკითზე დაფიქრებისკენ გვიბიძგა, ასევე, ზემოთ დასახელებული “ვაჰანის ქვაბთა განგების” გრაგნილმა. ხომ არ შეიძლება, ჟამისწირვასაც, როგორც ევქარისტული ლიტურგიის განმსაზღვრელ ერთგვარ კანონს, საეკლესიო დოკუმენტის შინაარსი და ფორმა მიეღო. ამ საკითხის გარკვევის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, გრაგნილი ჟამისწირვების რედაქციული თავისებურებების კვლევის შედეგები შექმნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟამისწირვას, როგორც ცოცხალი ლიტურგიკული პროცესის მარეგულირებელ ძეგლს, უნდა აესახა ის ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება, რომელსაც განიცდიდა თავად ევქარისტული ლიტურგიის რიტუალი. ამ თვალსაზრისით გადამწერის საინტერესო მინაწერს ვაწყდებით XIII ს-ის გრაგნილის - Sin.Geo.N.65-ის დასარულს: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ჩემ ცოდვილისა არსენისთჳს. სინას ვინცა განაახლებდე, ასრე განაახლე, ვითა ამას შინა სწერია. არდებაჲ მესმა და არა დავიცონე ცოდვილმან არსენი ხობელისძემან (აღმოჩენები 2005: 330).“ საინტერესოა ისიც, რომ ამ გრაგნილზე გადამწერილი ჟამისწირვა, აღმწერელთა თვალსაზრისით, არ მიჰყვება ცნობილი ჟამისწირვების არც ერთ ტექსტს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხელნაწერ ტრა-


დიციაში კოდექსის ფორმით დაცულ ჟამისწირვების ადრეულ X-XII სს-ების ტექსტებს რედაქციული მრავალფეროვნება ახასიათებთ.

- ჟამისწირვათა ქართული რედაქციების, როგორც იერუსალიმური და ბიზანტიური ლიტურგიების განვითარებისა და ქართული ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკის მათთან ურთიერთობის ისტორიის ამსახველი ძეგლების, კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და ტექსტების პუბლიკაცია მიეძღვნა (Кекелидзе 1912, Tarchnišvili 1950; Jacob 1964: 65-119; შანიძე 1976: 189-196; ქაჯაია 1992: 113-145. 260-317; Verhelst 2011; ქელიძე 2006: 589-596, სქ. 624; გუგუშვილი 2013: 1-31). მიუხედავად არაერთგზის გამოთქმული თვალსაზრისისა, რომ XI ს-დან ქართული სასულიერო ხელნაწერებისა და, უპირველესად კი, საეკლესიო-სამონასტრო მსახურების ბიზანტინიზაციის პროცესის შედეგად ჩვენს სამწერლობო ტრადიციაში მყარად იკიდებს ფეხს ბასილი დიდისა და იოვანე ოქროპირის ლიტურგიები, ლიტურგიკულ ხელნაწერ კრებულთა კვლევა ნათელყოფს, რომ იაკობის ჟამისწირვა XII ს-შიც და რიგ შემთხვევებში გვიანდელ ნუსხებშიც ინარჩუნებს პოზიციას იმ ორი ბიზანტიური ლიტურგიის პარალელურად. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გრაგნილთა უმეტესი ნაწილი თავბოლონაკლულია და არაა იოლი განისაზღვროს, რომელი ლიტურგიის ტექსტია გადაწერილი ამა თუ იმ გრაგნილზე, სავსებით ნათელი ხდება, რომ გრაგნილების ტექსტოლოგიური შესწავლა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ამ ძეგლის რედაქციული სხვაობების გამოვლენას, არამედ თავად ეკლესიის წიაღსა და განსაკუთრებით კი ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიმდინარე პროცესების, საეკლესიო ნორმატიული დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიის ანალიზსაც.
- რომელი სოციუმის - საეკლესიო-სამონასტრო თუ საერო - საჭიროებისათვის იქმნება გრაგნილი ხელნაწერები? სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ გრაგნილებზე გადაწერილი ცალკეულ საგვარეულოთა გენიალოგიები არ წარმოადგენდა

საეკლესიო დანიშნულების წიგნებს და პირადი საკუთრების ხელნაწერებს განეკუთვნებოდა, მაგრამ როგორ უნდა აღვიქვათ ავგახოზის სახელწოდებით ცნობილი გრაგნილები, როდესაც ზოგიერთი მათგანის პალეოგრაფიული თავისებურებები და განსაკუთრებით კი საწერი მასალა გაცილებით ღრმა დაფიქრებისკენ გვიბიძგებს, ვინაიდან ამ სახის გრაგნილები გადაწერილია პალიმფსესტურ ფურცლებზე. ასეთია, მაგალითად, Q-1263, ნუსხურით გადაწერილი, კარგად ორგანიზებული, 7 კეფისაგან შემდგარი XIV ს-ით დათარიღებული გრაგნილი, რომლის ქვედა X ს-ის მთავრულით ნაწერი ფენის ტექსტობრივი რაობა ამ ეტაპზე დაუდგენელია, მაგრამ წინასწარი მოკვლევით იგი დიდი შედგენილობის ხელნაწერის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის კლასიკურ ხანაში „ავგაროზის ეპისტოლე“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა გვიანდელი ე.წ. დამცავი ანუ თილისმის ფუნქციის მქონე ავგაროზები, ლიტურგიკული წიგნების შემადგენელი ტექსტი იყო და ზიარების ლოცვათა შორის ეკავა ადგილი (Sin.Geo.O.78), რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ტექსტის სახარებისთვის დართვის ტრადიციაზე (A-484, Q-908, A-496, H-1782). ლიტურგიკული პრაქტიკიდან ტექსტის ფართო სოციუმისათვის აქტუალურ წიგნებში გადანაცვლების პირველი საფეხურები ჩნდება უკვე XIV-XV სს-დან, როდესაც ავგახოზი, როგორც სამკურნალო ტექსტი, კურთხევანებში იკავებს ადგილს (A-1110, H-3027). XVII-XIX სს-ში ამ ტექსტმა გრაგნილზე გადაინაცვლა, სხვადასხვა შედგენილობის ნაკრებად ჩამოყალიბდა, სიტყვა ავგახოზმა მიიღო ზოგადი სახელის მნიშვნელობა და პირადი საკუთრების ხელნაწერად იქცა (ჩხიკვაძე 2007: 97-124). ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული Q-1263 მოგვცემს გასაღებს იმის გასარკვევად, თუ რა მნიშვნელობას იღებს ესა თუ ის სასულიერო ტექსტი ხელნაწერის სოციალიზაციის პროცესში.

- სწორედ პალიმფსესტური გრაგნილების არსებობა დაგვაფიქრებს ამ სახის ხელნაწერების მფლობელ თუ დამკვეთ სოციალურ წრესა და, უფრო დაზუსტებით კი, ხელნაწერი წიგნის სოციალიზაციის საკითხებზე. დღეს კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ წიგნთა ფონდში, გარდა ზემოთ დასახელებული Q-1263-ისა, დაცულია კიდევ 7 პალიმფსესტური გრაგნილი (აღნიშნული პალიმფსესტებისათვის, გარდა Q-1263-ისა, იხ.პალიმფსესტები 2017: 55-56, 182-194, 205-213, 352-353, 592-613):
- H-191, ჟამისწირვა, ეტრატი, ნუსხური, XIV-XV სს. ; ქვედა ფენა ნუსხური; სულთა მათიანე.
- H-520, აპოკრიფული წიგნი ქრისტეს მცნებათა დაცვის შესახებ, ეტრატი, ნუსხური, XV-XVI სს.; ქვედა ფენა ნუსხური, საგალობელთა კრებული;
- H-2089, იოანე ოქროპირის ჟამისწირვა, ეტრატი, ნუსხური, XV ს.; ქვედა ფენა მთავრული, იერუსალიმური ლექციონარი.
- H-2090, სულთა მათიანე, ეტრატი, XVI-XVII სს., საწერ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ხელნაწერი კოდექსის ფურცლები, ამიტომაც სხვადასხვა კეფის ქვედა ფენები ნაწერია ნუსხურითა და მთავრულით, დაცულია ფსალმუნისა და ოთხთავის ფრაგმენტები.
- H-2091, კრებული, ეტრატი, XVI-XVII სს., საწერ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ხელნაწერი კოდექსის ფურცლები, სხვადასხვა კეფის ქვედა ფენები ნაწერია ნუსხურით, დაცულია ფსალმუნის, ოთხთავისა და საგალობელთა კრებულის ფრაგმენტები.
- H-2092, სულთა მათიანე, ეტრატი, XV-XVI სს., საწერ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ხელნაწერი კოდექსის ფურცლები, სხვადასხვა კეფის ქვედა ფენები ნაწერია ნუსხურით, დაცულია საგალობელთა კრებულისა და ოთხთავის ფრაგმენტები.
- H-2401, სულთა მათიანე, ეტრატი, XIII-XIV სს., ქვედა ფენა მთავრული, ოთხთავის ფრაგმენტები.

- Q-267, სვანეთის კრების მატიანე, ეტრათი, IX-XI, XV-XVI სს. ქვედა ფენისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ლიტურგიკული კოდექსის ფრაგმენტები, ნაწერია მთავრულითა და ნუსხურით, დაცულია ტროპარ-კონადაკის, ესაიას წიგნის, იერუსალიმური ლექციონარის, არაიდენტიფიცირებული საგალობლებისა და ჰომილიის ფრაგმენტები.
- საფიქრებელია, რომ პალიმფსესტური გრაგნილები გადაიწერა სწორედ საეკლესიო-სამონასტრო დაკვეთის საფუძველზე, ვინაიდან ძველი რედაქციის დაშლილი ლიტურგიკული წიგნები და მათი ფრაგმენტებიც სწორედ ეკლესია-მონასტრების



ავგაროზი, XIV ს.,
პალიმფსესტი, ნუსხური,
7 კეფი
ქვედა ფენა X ს., მრგვლოვანი.
Q 1263 (დეტალი)

ნიგნსაცავების საკუთრება უნდა ყოფილიყო. ჩვენ მოკლებული ვართ იმ აზრს, რომ X ს-ის ლექციონარის ფურცლები საერო წრის რომელიმე კერძო პირის პირად კოლექციაში დაიდებდა ბინას. ამიტომაც, ჩვენი ვარაუდით, ამ სახის გრაგნილები, სწორედ რომ, საეკლესიო კუთვნილების ხელნაწერებს წარმოადგენდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაკვეთილი იყო პროფესიონალი გადამწერისთვის, რომელმაც კარგად იცოდა, რომელი თხზულებები და ლოცვები უნდა გაერთიანებინა ავგახოზის სახელწოდებით ცნობილ ე.წ. დამცავ ხელნაწერში.

- ამ ფორმის ხელნაწერების დანიშნულებისა და მათი დამკვეთი სოციალური წრის შესახებ მსჯელობისთვის ნოყიერ საფუძველს გვაძლევს ცენტრის ხელნაწერ წიგნთა ფონდებში დაცული „სვანეთის კრების სულთა მათიანის“ სახელწოდებით ცნობილი გრაგნილები, რომელთაგან ორმა - H-2401 და Q-267 - მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო (თაყაიშვილი 162, 2; ინგოროყვა 1941: 117-160; გასვიანი 1972: 101-113; სილოგავა 1986: 248- მარგიანი 199: 403-421). ამ ტექსტების ისტორიულ მნიშვნელობასა და სვანეთის წარსულის კვლევისათვის განმსაზღვრელ როლზე ჩვენ არ შევაჩერებთ ყურადღებას, ვინაიდან ტექსტები, როგორც აღვნიშნეთ, არაერთგზისაა გამოცემული და შესწავლილი. გარდა მკვლევართა მიერ შესწავლილი ამ ორი გრაგნილისა, ცენტრის ფონდებში დაცულია XV-XVI სს-ით დათარიღებული ეტრატზე გადაწერილი კიდევ რამდენიმე ამავე შინაარსის ფრაგმენტული გრაგნილი — H-2090, H-2092, H-2093; H-2093 ა,ბ,გ (აღწერილობა (H)1949:56-58). ამჯერად ჩვენს ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ განსხვავებით კოდექსების ფურცლებზე დაწერილი სულთა მათიანეებისგან — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის (მარი 1914; მეტრეველი 1962), ნიკორწმინდის (თაყაიშვილი 1939), გერგეტის (შარაშიძე 1954: 263-288), სინის მთის (კლდიაშვილი 2008), „სვანეთის სულთა მათიანე“ გრაგნილის ფორმითაა გადაწერილი ისევე, როგორც პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავ-

ლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, დაცული 18-კეფიანი გრაგნილი „ტბეთის სულთა მათიანე“ - P-10(P-13) (ენუქიძე 1977). საფიქრებელია, რომ სულთა მათიანეების ისევე, როგორც ჟამისწირვების გრაგნილზე გადაწერის ტრადიცია სასულიერო შინაარსის კოდექსის ახალი ფორმისა და დანიშნულების წერილობით ძეგლებად დანაწევრების ტენდენცი-აზე უნდა მიგვითითებდეს. საიდან და როდის იღებს სათავეს ეს ტანდენცია და რა სახის ძეგლებად ფორმდება გრაგნილზე გადაწერილი ტექსტები,- სწორედ ამ კითხვებზე პასუხის მოძიება პროექტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

- გრაგნილების საწერი მასალის განხილვისას საკვლევ პრობლემათა რიგს ერთი საინტერესო საკითხიც ემატება. საქმე ეხება ეტრატის, როგორც საწერი მასალის, წარმოება-დამუშავების ზედა ქრონოლოგიური ზღვრის განსაზღვრის საკითხს. გარკვევით რომ ითქვას, დავძენთ, რომ ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის კვლევისას ნათელი ხდება, რომ XIV-XV სს-ში გადაწერილი კოდექსები, მცირე გამონაკლისის გარდა, ქალაქის საწერ მასალაზეა გადაწერილი. ზემოთ დასახელებული პალიმფსესტური გრაგნილების საფუძველზე შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დახვეული საწერი ფურცლების, ანუ გრაგნილების მდგრადობისათვის ეტრატის საწერ მასალას ენიჭებოდა უპირატესობა. მაგრამ ამ ვარაუდს საფუძველს აცლის სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალ კოლექციაში დაცული XIII, XV და XVI სს-ის ქალაქებზე გადაწერილი გრაგნილების - Sin.Geo.N.6s, Sin.Geo.N.7s, Sin.Geo.N.8s, Sin.Geo.N.10s - არსებობა. ამ შემთხვევაში შესაძლოა დავუშვათ, რომ საეკლესიო დაკვეთის გრაგნილები, მათ შორის სვანეთის კრების მათიანე, გადაწერილია სწორედ საეკლესიო სკრიპტორიუმში მოღვაწე გადაწერის მიერ, რომელსაც ხელი მიუწვდება უკვე ხმარებიდან გამოსულ კოდექსებსა თუ მათს ფურცლებზე, რომელთაც იყენებს კიდევ გრაგნილის საწერ მასალად.
- გრაგნილი ხელნაწერების დანიშნულების საკითხზე ფიქრისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ. ქართული

სამონასტრო წიგნსაცავების არც ათონურ და არც იერუსალიმურ კოლექციებში არ გვხვდება გრაგნილი ხელნაწერები. რაც შეეხება სინურ კოლექციას, 215 ერთეულიდან მხოლოდ 10-ია გრაგნილი, ამათგან მხოლოდ 1 თარიღდება X-XI სს-ით. ესაა Sin.Geo.N.2s, საგალობელთა კრებული (აღმოჩენები, 2005:327, 656). ყურადღებას იპყრობს ამ გრაგნილის კოდიკოლოგიური დახასიათება: „ნაწერია სხვადასხვა ხელით, შესაძლოა სხვადასხვა დროს; განსხვავებულია „მელანიც.“ აღწერილობის 656 გვ.-ზე გამოქვეყნებული ფოტოს მიხედვით, ამ კეფის ხელწერა - მსხვილი კუთხოვანი გრაფემები დახრის გარეშე - ძალზე ჰგავს XI-XII სს-თა მიჯნაზე საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაწერილ ქართულ ხელნაწერთა კალიგრაფიას, მაგალითად, Sin.Geo.O. 78-ის 1031 წელს გადაწერილ ნაწილს ან Ivir.Geo.25.

- და კვლავ ორიოდ სიტყვა გრაგნილებში გამოყენებულ ეტრატზე. ჩვენს ინტერესს იწვევს გვიანდელი XIV-XV სს-ით დათარიღებული გრაგნილების (A-922, A-1553, Q-1660, H-510, H-512, H-514-H-519) საწერი მასალის პირვანდელი დამუშავებისა და, ასევე, დაცულობის თავისებურებანი, რომელთა კვლევაც საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ ეტრატისა და ქალაქის საწერი მასალების თანაარსებობის პირობებზე გვიანი შუა საუკუნეების წერილობით კულტურაში. ამ საკითხების კვლევას კი საფუძვლად უნდა დაედოს პროექტის მონაწილე რესტავრატორის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები, ეტრატის ფაქტურული თავისებურებები (სისქე, პირველად დამუშავების ხარისხი), მის მიერ გამოვლენილი დაზიანების მიზეზები (მექანიკური თუ მასალის სტრუქტურული ცვლილებით გამოწვეული).

როგორც ვხედავთ, გრაგნილი ხელნაწერების კვლევა საკვლევი საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ამდენად, პროექტი გრაგნილ ხელნაწერებს განიხილავს, როგორც ქართული ხელნაწერის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის, ხელნაწერის ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულების,

ზოგადად წერილობითი ძეგლების სოციალიზაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტებს. მათი მნიშვნელობის განსაზღვრის წინაპირობად კი აღიარებს გრაგნილების სრულ კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიურ კვლევას - საწერი მასალის თავისებურებიდან დაწყებული გრაგნილის პალეოგრაფიული, ტექსტების რედაქციული და ტერმინოლოგიური თავისებურებების განსაზღვრის ჩათვლით.



იოვანე ოქროპირის ჟამისწირვა, XVI ს., ეტრატი, ნუსხური, 5 კეფი.
A 757 (დეტალი)

პროექტი ეყრდნობა კ.კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული გრაგნილების კოდიკოლოგიურ შესწავლას, ტექსტების რედაქციული თავისებურებების გამოსავლენად იგი მიმართავს ხელნაწერ კოდექსებში დაცული შესაბამისი შინაარსის კრიტიკულ ტექსტებსა და მათი კვლევის შედეგებს. გარდა ამისა, პროექტი დაგეგმილ სამუშაოებს განიხილავს, როგორც გრაგნილთა დაცულობის მდგომარეობის მონიტორინგის საშუალებას, მსჯელობს დაზიანების მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე, რაც მას საშუალებას აძლევს მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია არა მხოლოდ ჩვენი წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის, არამედ მისი სამომავლო დაცვის უზრუნველყოფისათვის არსებითი პირობების განსაზღვრის შესახებ.

ON THE IMPORTANCE OF STUDYING HANDWRITTEN SCROLLS

SUMMARY

In the collections of manuscript codexes of the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts has 72 scrolls of literary content, which have not been studied to date.

The project considers scrolls as documents reflecting the cultural and historical significance of the Georgian manuscript tradition, the relationship between the form and content of manuscripts, and the process of socialization of written monuments in general.

The project recognizes a complete codicological study of the scrolls as a necessary condition for determining their meaning, starting with the features of the written material, including the paleographic and recension features of the texts. Based on the study of the codicological features of the writing material (Palimpsest scrolls), an assumption was made about the transformation of early liturgical texts (the liturgies of Basil of Caesarea and John Chrysostom) into documents of church law by structurally changing the early recensions of these liturgies.

In addition to the scrolls stored in the fund of manuscript codexes of the K.Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, the project studies the codicological features of the literary scrolls of the funds of the National Archives of Georgia and the N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum. In order to identify the editorial features of the texts, it is based on the critical texts preserved in the manuscript codexes and the results of their research.

The project considers the planned work as a means of monitoring the state of preservation of the scrolls, discusses and, as conclusions, publishes recommendations on the conditions and methods of preventive conservation, taking into account the characteristics of the writing material (parchment, paper).

გრაგნილი ხელნაწერების კონსერვაცია (ეძრათის საწერი მასალა)

თანამედროვე კონსერვაცია-რესტავრაცია ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტანდარტების შემუშავების პროცესში. შუა საუკუნეებისა (V-XV სს.) თუ ახალი დროის (XVI-XIX სს.) წერილობითი ძეგლების კვლევა-შენარჩუნებისათვის, ერთი მხრივ, აუცილებელია კონსერვაციის თანამედროვე მეთოდების, დიაგნოსტიკისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების ტექნოლოგიური საშუალებების ფლობა, მეორე მხრივ კი, აუცილებელია ცალკეული სარესტავრაციო ერთეულის შექმნის თარიღის, საწერი მასალის ფაქტურული თავისებურებების, მისი პირველადი დამუშავებისა და დაცვის განსხვავებულ პირობებთან დაკავშირებული დეტალების გათვალისწინება. მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, შესაძლოა, ერთი და იმავე მასალაზე გადაწერილ ხელნაწერ სიძველეთა შორის გამოვლინდეს იმ სახის სხვაობები, რომლებიც ხელნაწერი სიძველეების წარმოებაში სხვადასხვა ეპოქაში არსებულ განსხვავებულ ტექნოლოგიურ პროცესებზე მიგვანიშნებდნენ. მაგალითად მოვიყვანთ თუნდაც აღმოსავლური და ევროპული ქაღალდის ფაქტურულ თავისებურებებს, მათზე გამოყენებული სხვადასხვა მელნის პიგმენტური შედგენილობის გავლენას საწერ ფურცელზე და სხვ. (Zekrgoo 2014: 133–158). ამ სახის, ზოგჯერ თვალით უხილავი, განსხვავებების არსებობა წერილობითი სიძველეების კონსერვაცია-რესტავრაციაზე მომუშავე პირისგან დიდ დაფიქრებას, რიგ შემთხვევებში, მასალის სპექტრული ანალიზის შედეგების გათვალისწინებას, რეკომენდებულ საკონსერვაციო მასალათა სიფრთხილით შერჩევასა და მათი ეფექტურობის მაქსიმალური პირობების განსაზღვრას მოითხოვს.

სარესტავრაციო პროცესის საწყის საფეხურს წინა სარესტავრა-

ციო კვლევა წარმოადგენს. ამ კვლევის შედეგად განისაზღვრება დაზიანების ხარისხი, დაზიანებათა გამომწვევი მიზეზები, წინა საკონსერვაციო სამუშაოების შესრულების პროცესში მოსალოდნელი საფრთხეები, კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესის რეჟიმი და ვადები, ოპტიმალური სარესტავრაციო მასალები და მეთოდები (Ceneva 2005). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სარესტავრაციო ერთეულის ავთენტური სახის შენარჩუნების არსებით პირობას წარმოადგენს ხელნაწერი სიძველეების ფორმასა (კოდექსი, გრაგნილი) თუ მოხმარების სიხშირესთან დაკავშირებული საკითხების გააზრებაც, რაც წარმოუდგენელია სარესტავრაციო ერთეულის პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არსებით პრობლემას ქმნიდა ის ვითარება, რომ ხელნაწერი სიძველეების პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური კვლევა და საკონსერვაციო-სარესტავრაციო მოქმედება წლების განმავლობაში მოწყვეტილი იყო ერთმანეთს. კოდიკოლოგები ხშირად ჩიოდნენ, რომ ხელნაწერი წიგნის კინძვის თუ რვეულებრივი თავისებურებების ავთენტური ელემენტები რესტავრაციის შედეგად დაფარული იყო მათთვის, ამავე დროს სარესტავრაციო საქმის სპეციალისტებს მუდმივად ექმნებოდათ პრობლემები დაშლილი ხელნაწერებისა თუ გრაგნილების თანამიმდევრული კინძვისა და ფურცელთა პაგინაციაში არსებული შეცდომების აღმოფხვრის პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ წერილობით სიძველეთა რესტავრატორის პროფესიულ მოთხოვნებში არ შედის ქართული თუ სხვაენოვანი (ბერძნული, სომხური, არაბული, სპარსული, ოსმალური) ტექსტების ამოკითხვა, მათი არქიტექტონიკის აღდგენა (და არა გრაფემების ამოცნობა). ამ ცოდნის გარეშე კი პრაქტიკულად შეუძლებელია დაშლილ წერილობით სიძველეთა კინძვის პროცესში შეცდომებისაგან თავის დაზღვევა.

ჩვენი პროექტის პრინციპული პოზიციის თანახმად, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი სიძველეების კონსერვაცია-რესტავრაცია ეფექტური და სამომავლო

შედეგზე გათვლილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს პროცესი წარიმართება კოდიკოლოგიისა და რესტავრატორის მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში. კოდიკოლოგიური კვლევის შედეგად რესტავრატორისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი და მოიცავდეს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ერთეულის ავთენტურობის შენარჩუნების პრობლემას. გარდა ამისა, რესტავრატორმა ყველა შემთხვევაში უნდა დააფიქსიროს წერილობითი სიძველის ის ყველა ელემენტი (დაზიანებული ფურცლის ფრაგმენტული დეტალები, ადრეული კინძვისა თუ ფურცელთა კერვისათვის გამოყენებული მასალის ელემენტები, პალიმფსესტური ფურცლების ქვედა ფენაზე შემორჩენილი გრაფემები), რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ერთეულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრის საქმეში. დაუშვებელია რესტავრაციის პროცესში გამოვლენილი რომელიმე ავთენტური, მაგრამ ძლიერ დაზიანებული დეტალის (ვგულისხმობთ ადრეული ყდების ტყავის ფრაგმენტებსა და დაფებს, ლითონის სამაგრებსა და საკეტებს, საცავ ფურცლებს) მოცილება სარესტავრაციო ერთეულიდან ამ ელემენტის კოდიკოლოგიური შესწავლის გარეშე. მხოლოდ რესტავრატორისა და კოდიკოლოგის ერთობლივი მუშაობით იქნება შესაძლებელი შევინარჩუნოთ ის ინფორმაცია, რომელიც დაცულია არა მხოლოდ შერჩეული ობიექტის ტექსტში, არამედ წიგნებისა და დოკუმენტების მატერიალურ მახასიათებლებშიც, რომლებიც გვანჯდიან დამატებით ინფორმაციას ერთეულის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ (Giovannini 1990: 43-47; 2005: 160-165, 2010). ხელნაწერების კოდიკოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია ხელნაწერის შექმნის თავდაპირველ პირობებზე, სამწიგნობრო პროცესის თავისებურებებზე, მხატვრული გაფორმების ტრადიციებსა თუ ამა თუ იმ წერილობითი სიძველის მფლობელ სოციალურ წრეზე საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ სარესტავრაციო ერთეულის საწერი მასალის (ეტრათი, ქალაღდი, მელანი) პირველადი ხარისხი, ასევე გავმიჯნოთ მასალის სტრუქტურული ცვლილებებითა თუ გარეგანი ფაქტორებით გამოწვეული დაზიანებები (Fuchs R. 2018, 13-16; 2001; Mueller 2002).

გრაგნილი ხელნაწერების კვლევისას ჩვენ სხვადასხვა ეპოქის წერილობით სიძველეთა კონსერვაციაზე გვინწევს მუშაობა. შესაბამისად, საქმე გვაქვს განსხვავებულ საწერ მასალასა და მელნებთან. პროექტი მოიცავს კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცულ გრაგნილთა კვლევას, მაგრამ დაცულობის მდგომარეობა ფასდება და პრაქტიკული საკონსერვაციო სამუშაოები უტარდება მხოლოდ ჩვენი ცენტრის ხელნაწერ წიგნთა ფონდში დაცულ გრაგნილებს¹. ასეთი სულ 72 ერთეულია. ეტრატზე გადანერილია 47 ერთეული, ხოლო ქაღალდზე - 25.


პროექტის მიმდინარეობის პირველ წელს კოდიკოლოგებთან შეთანხმებით ჩვენ დავინწყეთ ეტრატზე გადანერილი გრაგნილების დაცულობის მდგომარეობის კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა სხვადასხვა სახის დაზიანებების მქონე ერთეულები. ვინაიდან ე.წ. ლიტერატურული შინაარსის გრაგნილთა ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ კვლევას არ ჰქონია ინტენსიური ხასიათი, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათზე არსებული დაზიანებები დროთა განმავლობაში ფაქტურაზე მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებით იყო გამოწვეული, მაგრამ კოდიკოლოგების მიერ ცალკეული გრაგნილის შექმნის მიზეზებისა და პრაქტიკული დანიშნულების საკითხების კვლევამ გვიბიძგა დავფიქრებულებიყავით თავად ეტრატის წარმოებაში არსებულ ხარვეზებზე, რადგანაც, როგორც ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის შესწავლის შედეგად გაირკვა, XIV-XV სს. ეტრატი აღარ იყო აქტუალური საწერი მასალა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ყურადღება მიგვექცია გვიანი შუა საუკუნეების ეტრატის პირველადი დამუშავების ხარვეზებისთვისაც, რის უზრუნველყოფის საშუალებ-

1 ეროვნული არქივის სიძველეთა დაცულობის მონიტორინგსა და რესტავრაცია-კონსერვაციას თავად არქივის შესაბამისი სამსახური ეწევა. რაც შეეხება ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ერთეულებს, საჭიროების შემთხვევაში მათი კონსერვაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მუზეუმის მოთხოვნის საფუძველზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული გრაგნილების რესტავრაცია, გარდა ჩვენი პროექტისა, დაგეგმილია და სრულდება ცენტრის რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ.

ბად ეტრატის სპექტრული ანალიზი გვესახება. ეტრატის ზედაპირსა და მელანში მიმდინარე ცვლილებების კვლევისათვის პროექტს მიზანშეწონილად მიაჩნია თანამედროვე სარესტავრაციო საქმეში დანერგილი თერმული ანალიზისა და X-ray რენტგენის დიფრაქციის (XRD), ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრანითელი სპექტროსკოპიის (FT-IR) და FT-Raman სპექტროსკოპიის, UV-vis-NIR რეფლექტოგრაფიისა და რენტგენის ფლუორესცენციის (XRF) მეთოდების გამოყენება. ასეთი საჭიროების შემთხვევაში პროექტი გეგმავს მჭიდრო თანამშრომლობას შესაბამისი ტექნიკითა და მეთოდოლოგიით მომუშავე სპეციალიზებულ ლაბორატორიებთან (Možir 2012: 1559-1566).

მუშაობის პროცესში გამოვლინდა მოსაგვარებლად რამდენიმე გადაუდებელი საკითხი:

- პირველი ეხება გრაგნილთა შედგენილობის აღრიცხვაში არსებულ უზუსტობებს, კერძოდ კი, კეფების ზუსტი რაოდენობის ფიქსაციას. საკვლევი გრაგნილების უდიდესი ნაწილი შესულია საისტორიო-საეთნოგრაფიო (H) და ახალ (Q) ფონდებში, რომელთა აღწერილობები ძირითადად XX



კონდაკი, XVI ს., ეტრატი, ნუსხური, 4 კეფი, H-515 რესტავრაციამდე

ს-ის 50-60-იან წლებშია შედგენილი. მას შემდეგ ხელნაწერ სიძველეთა აღწერა-აღნუსხვაში ბევრი რამ დაზუსტდა, ამიტომაც ამ ადრეულ აღწერილობებში ფრაგმენტულად შემორჩენილი კეფები არაა პაგინირებული, რაც სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს. ფონდების დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით პროექტი შეუდგა ამ უზუსტობის აღმოფხვრას.

- იშვიათი გამოყენების გამო გრაგნილთა დაცულობის მდგომარეობის მონიტორინგი დიდი ხანია არ ჩატარებულა. პროექტზე მუშაობამ გამოავლინა, რომ ეტრატზე გადანერილი გრაგნილების ნაწილი საჭიროებს დარბილებას.
- გრაგნილთა 8 ერთეული პალიმფსესტია. ზოგი მათგანის ქვედა ფენა ძლიერაა გადარეცხილი და ამოკითხვა ძალზე რთულია. ამიტომაც ამ სახის გრაგნილთა და ზოგადად პალიმფსესტური ფურცლების განმენდა-კონსერვაცია განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ასეთი ერთეულები უნდა გაიწმინდოს მხოლოდ მშრალი წესით (რბილი ფუნჯითა და ბამბის მშრალი ტამპონით). ბამბის სველი, მაგრად გაწურული ტამპონის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დაუწერელი ადგილების, კიდეებისა და სტრიქონებს შორის მანძილების გასაწმენდად.
- გრაგნილთა გარკვეული ნაწილი მოხატული და ორნამენტული საზედაო ასოებით დეკორირებულია. ამგვარ გრაგნილებზე ჩვენი მუშაობა გულისხმობს, დაზიანებული კეფებისა და საწერი მასალის მექანიკური დაზიანებების დამაგრების გარდა, დეკორატიული ელემენტების კონსერვაციას, რის გამოც აუცილებელია დეკორში გამოყენებული მელნების სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინება.

მიმდინარე სამუშაოების ნათელსაყოფად წარმოვადგენთ პროექტის ფარგლებში XVI ს-ის ეტრატის გრაგნილზე H-515 შესრულებული ეტაპობრივი საკონსერვაციო სამუშაოების აღწერილობას რეკომენდაციებითურთ.

- პირველი ეტაპის სამუშაო შესრულდა კოდიკოლოგისა და რესტავრატორის ერთობლივი არქეოგრაფიული აღწერილობის

შესადგენად, რაც გულისხმობს დაზუსტებულ მონაცემების აღნუსხვას საწერი მასალის (ეტრატის) სისქის, ყოველი კეფის, ნაწერი ტექსტისა და არშიების ზომების შესახებ. ასეთი აზომვის დროს რესტავრატორი და კოდიკოლოგი კეფების გადაკერვისა და კიდეებზე ნაწერი ტექსტის საფუძველზე ადგენენ კეფის თავდაპირველ ზომას.

- მეორე საფეხურზე აღინუსხა და შეფასდა ეტრატის მდგომარეობა და ყოველი დაზიანება; გაიმიჯნა ეტრატის ფაქტურული ცვლილების ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი დაზიანებები, საჭიროების შემთხვევაში ეტრატზე წარმოქმნილი პიგმენტაციის მიზეზების დასადგენად დაიგეგმა შესაბამისი ლაბორატორიულ კვლევის გრაფიკი. ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად აღმოვფხვრათ ეტრატზე გადაწერილი წერილობითი სიძველეების, მათ შორის გრაგნილების, ხანგრძლივი პერიოდით დაცვაში წარმოქმნილი საფრთხეები.
- მექანიკური დაზიანებების შემთხვევაში საგანგებოდ მიექცა ყურადღება ეტრატის მთლიანობის დარღვევის ლოკალიზაციის საკითხს. ტექსტის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით საჭირო გახდა კეფის ნაწერ არეზე ჩახეული ეტრატის დამაგრების მეთოდის სიფრთხილით შერჩევა. პროექტმა იმსჯელა იმ შემთხვევებზე, რომელთა დროსაც ეტრატის სისქის გამო თხელი საკონსერვაციო ქაღალდის გამოყენებამ ვერ უზრუნველყო დაზიანების ფიქსაცია.
- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში საჭირო გახდა მოხატული გრაგნილების მხატვრული ელემენტების დაცულობის მონიტორინგის ჩატარება. რადგანაც დეკორირებულ ნაწილში გამოყენებულია სხვადასხვა მინერალური შემადგენლობის მელან-საღებავები, პროექტმა საჭიროდ ცნო მათი სპექტრული ანალიზის ჩატარება და მიღებული შედეგების გათვალისწინება საკონსერვაციო სამუშაოების პროცესში. კატეგორიულად დაუშვებელია გაფერმკრთალებულ მხატვრულ ელემენტებზე ნებისმიერი სახის

სარესტრუქტურული ქმედებები, გარდა დარჩენილი ფენის კონსერვაციისა.

- შედგა ჩატარებული სამუშაოს სარესტრუქტურული პასპორტი, პირველადი და რესტრუქტურის შემდგომი მდგომარეობის ამსახველი მასალით.
- პროექტის მონაწილეებმა სარესტრუქტურული და კოდიკოლოგიური სამუშაოების საფუძველზე შეადგინეს ქართული გრაგნილი ხელნაწერების ელექტრონული ბაზის ველების შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც გადაეცა პროექტის IT სამუშაოების შემსრულებელ მონაწილეს.
- საწერ საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები, ზუსტი ინსტრუმენტული კვლევა, დიაგნოსტიკა, წინაპირობაა კონსერვაცია-რესტრუქტურის სწორად წარმართვისა.
- წერილობითი ძეგლები მრავალფეროვანი და მრავლობითი დაზიანებებით შეიძლება ხასიათდებოდეს. მათი საკონსერვაციო მეთოდის და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების სწორად დასაგეგმად მნიშვნელოვანია სრულად იქნეს შესწავლილი თითოეული ექსპონატის დაზიანების სახე და ხარისხი (Tavadze 2021: 151-156).

საკვლევად შერჩეულ ექსპონატებს განსხვავებული ტიპისა და ხარისხის დაზიანებები აქვს. მათი სრული დიაგნოსტიკისათვის კი აუცილებელია არადესტრუქციული კვლევის განსხვავებული მეთოდის - ვიზუალური კვლევა, სპექტრული ანალიზი, რენტგენოგრაფიული კვლევა და ელემენტარულ-მორფოლოგიური ანალიზი.

მსგავსი ჩატარებული კვლევები საშუალებას იძლევა ზუსტად შეფასდეს მათი მდგომარეობა და ყველა თავისებურების გათვალისწინებით განხორციელდეს კონსერვაცია-რესტრუქტურისა და შემდგომი პრევენციული ღონისძიებები.

CONSERVATION OF THE SCROLL MANUSCRIPTS (PARCHMENT WRITING MATERIAL)

SUMMARY

Contemporary restoration is an interdisciplinary field that actively participates in the process of developing standards for the protection of cultural heritage. For the study and preservation of written monuments, it is necessary to master modern methods of conservation, diagnostic and technological means for predicting the expected results. It is also necessary to take into account the details associated with the date of creation of an individual restoration unit, the characteristics of the written material, its initial processing and various levels of preservation.

An essential condition for the preservation of the authentic type of a restoration unit is the understanding of issues related to the form of handwritten antiquities (codex, scroll) and the frequency of their use, which is unthinkable without taking into account paleographic and codicological features. Conservation and restoration of medieval manuscript antiquities can be effective and promising only if this process is carried out in close cooperation between the restorer and the codicologist, which is the main focus of our project.

The information provided to the restorer as a result of the codicological study must be comprehensive and include the main issues related to the problem of preserving the authenticity of the unit. The restorer must in all cases fix all the elements of written antiquity necessary to determine the cultural and historical significance of the object. It is not allowed to remove any genuine, but badly damaged part from the restoration unit without a codicological examination of this element.

When researching scroll manuscripts, we have to work on the

conservation of written antiquities from different eras. We are dealing with different writing materials and inks. The lower layer of the palimpsest scrolls is heavily washed and is very difficult to decipher. That's why the cleaning and preservation of this type of scrolls requires special care.

Some of the scrolls are decorated with painted and ornamental capital letters. Our work on such scrolls, in addition to eliminating mechanical damage to the writing material, involves the conservation of decorative elements, so we have to select conservation adhesives based on laboratory studies, taking into account the structural features of the ink used in decoration

ქართული გრაგნილი ხელნაწერების ელექტრონული მონაცემთა ბაზა

მონაცემთა ბაზის განთავსება გათვალისწინებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჰოსტინგზე და სპეციალურად გამოყოფილ ქვედომენზე:

manuscript-scroll.manuscript.ge

გრაგნილი ხელნაწერების ბაზაში შეყვანილი ინფორმაცია დახარისხებულია ორი ძირითადი პარამეტრის მიხედვით:



1. ბაზის სრულ ნუსხაში პირველ ეტაპზე მოცემული იქნება გრაგნილის შიფრი და რაობა;
2. გრაგნილი შიფრის მიხედვით, შიდა ინფორმაციაში კი ინფორმაცია დახარისხებული იქნება ზემოდასახელებული პუნქტების მიხედვით.

ბაზა იქნება მკვლევრისთვის მარტივ გამოყენებაზე გათვლილი. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ვიზუალი, ინტერფეისი, მორგებული იქნება ყველა მოწყობილობაზე, იქნება ეს პერსონალური კომპიუტერის ეკრანი, ლეპტოპი, ტაბლეტი თუ სმარტფონი.

ამასთანავე ბაზას აქვს საძიებო სისტემა, რომლის საშუალებით მარტივად, სასურველი ინფორმაციის შეყვანით იქნება შესაძლებელი შესაბამისი გრაგნილის და მისი მონაცემების მოძებნა. იქნება ერთი საძიებო ველი (და არა ჩაშლილი ველები), რომელიც ფუნქციურად გააერთიანებს და შესაძლებელს გახდის მთელ ბაზაში ძიებას.


manuscript-scrollmanuscript.ge





**გრაგნილი ხელნაწერების
ელექტრონული ბაზა**

ბაზაში ძიება


მთავარი | პროექტის შესახებ | გრაგნილი ხელნაწერები | სასარგებლო გზავნილები | კონტაქტი

H-514 - კონდაკი

1.კოდოლოგია/პრაქტიკა

1.1. შიფრი

რაობა (პეტრი)

დაცულობის ადგილი/კოლონია

თარიღი

კედის რაოდენობა

ზომა (თითოეული კედის ზომა)

ხტომონთა რაოდენობა

მონაცემთა ბაზაში გათვალისწინებულია როგორც ტექსტური ინფორმაციის შეყვანა გრაგნილების შესახებ, ასევე მათი ვიზუალური ფოტომასალის დართვაც, რაც მკვლევრისთვის ინფორმაციის მიღების პროცესს უფრო პროდუქტიულს, ეფექტურს გახდის.

ბაზას აქვს კონტაქტის ფორმაც, რათა მომხმარებლებმა შეძლონ საკუთარი იდეების გაზიარება პროექტის გუნდისათვის ან დამატებით საჭირო ინფორმაციის მიღება.

DATABASE OF GEORGIAN SCROLL MANUSCRIPTS

SUMMARY

The placement of the database is considered on the hosting of the National Center of Manuscript and on a specially allocated subdomain:

manuscript-scroll.manuscript.ge

The information entered in the database of scroll manuscripts is sorted according to two main parameters:

1. At the first stage, the number and point of the scroll will be given in the complete list of the base.
2. Scroll according to the code, and in the internal information, the information will be sorted according to the above-mentioned points.

The database will be designed to be used easily. First, we should mention that its visuals, interface will be adapted to all devices: computer screen, laptop, tablet, as well as smartphone.

In addition, the database has a search system, accordingly it will be possible to easily find the relevant scroll and its data by entering the desired information. There will be a single search category (rather than broken categories) that will combine functionality and make it possible to search the entire database.

The database provides both textual information about the scrolls, as well as the addition of their visual photo material, which will make the process of obtaining information more productive and efficient for the researcher.

The database also has a contact form where users can share their ideas with the project team or get additional information.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

აღმოჩენები 2005: ახალი აღმოჩენები სინის მთაზე, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მზ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, ათენი, 2005.

აღწერილობა (H) 1949: ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ლუბა მეფარიშვილის მიერ აღ. ბარამიძის რედაქციით, V, თბ., 1949.

აღწერილობა (A-1/1) 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა, რ. I1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1973.

აღწერილობა (სინა 3) 1987: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, 3. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჭლამიამ, თბ., 1987.

ბიბლია 2017: ბიბლია, ძველი აღთქმა, I-II, კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, თბ., 2017.

გასვიანი 1972: გასვიანი გ., სვანეთის ისტორიული კრებათა მეორე მატრიანე, მაცნე, (2), თბ., 1972.

გუგუშვილი 2013: გუგუშვილი შ., წმ. იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ერთი ქართული თარგმანი, 2013: <https://www.academia.edu/4443199/>

ენუქიძე 1977: ტბეთის სულთა მატრიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

თაყაიშვილი 166,2: ხეც საარქივო ფონდი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, 166,2.

თაყაიშვილი 1939: თაყაიშვილი ე., მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატრიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939.

ინგოროყვა 1941: ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.

კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, I, თბ., 1980.

კლდიაშვილი 2008: კლდიაშვილი დ., სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატრიანე, თბ., 2008.

კორპუსი 1 (1984): ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

2 (2013): ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ., 2013.

3 (2014): ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, თბ., 2014.

4 (2016): ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თ. აბაშიძემ, თბ. 2016.

მარგიანი 1999: მარგიანი ს., სვანეთის სულთა მათიანე (მატიანე სუანთა კრებისად) (მოკლე ისტორიულ-არქეოგრაფიული მიმოხილვა): მრავალთავი 19, თბ., 1999.

მარი 1914: მარი ნ., ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმს შინა, სპბ. 1914.

მეტრეველი 1962: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

მუსხელიშვილი 1939: მუსხელიშვილი ლ., ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ., 1939.

მცხეთური 1985: მცხეთური ხელნაწერი, (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები-ესაია, იერემია ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს. ს., ლექსიკონი ქართული, ტომი I, რედაქტორები: ელ. მეტრეველი, ც. ჟურციკიძე, თბ., 1991.

პალიმფსესტები 2017: ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კატალოგი, ტექსტები, ალბომი. შეადგინეს ლ. ქაჯაიამ, ხ. გაფრინდაშვილმა, ც. გულედანმა, ნ. მიროტაძემ, დ. ჩიტუნაშვილმა და ი. ხოსიტაშვილმა, თბ., 2017.

ჟორდანია 1896: ჟორდანია თ., ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896.

სილოგავა 1986: სილოგავა ვ., სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986.

ტალახაძე 2009: ტალახაძე ი., ვაჰანის ქვაბთა განგება, თბ., 2009.

ქაჯაია 1992: ქაჯაია ნ., ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები. თბ., 1997.

შანიძე 1971: შანიძე ავ., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971.

- 1976:** შანიძე აკ., იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ძველი ვერსია: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19 (1976).
- შარაშიძე 1954:** შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30 თბ., (1954).
- ჩხიკვაძე 2007:** ავგაროზის ეპისტოლე. ძველი ქართული რედაქციები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. ჩხიკვაძემ, თბ. 2007.
- ჭელიძე 2006:** დიდნი კურთხევანი, სათანადო მასალების მოძიება მიმდინარეობდა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ღოცვა-კურთხევით. ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, I, 2006.
- ჯავახიშვილი 1949:** ჯავახიშვილი ი., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- 1996:** ჯავახიშვილი ი., თხზულებანი: 12 ტომად. ტ. 9, თბ., 1996.
- Ceneva 2005:** Ceneva G., Pia Nugari M., Salvadori O., Biology in the conservation of works of art, Rome, 2005.
- Dufour 2009:** Dufour J., Les Rouleaux Des Morts. 4 Vols. Monumenta Palaeographica Medii Aevi. Series Gallica. Turnhout: Brepols, 2009.
- Fuchs R. 2001:** Fuchs R. Kölner Beiträge zur Restaurierung und Konservierung von Kunst- und Kulturgut: Pergament, Geschichte-Material-Konservierung-Restaurierung, München, 2001.
- Giovannini 1990:** Giovannini A, Archäologie des Buches und Konservierende Restaurierung, Restauro, 1/1990, s. 43-47.
- 2005:** Giovannini A., Kodikologie und Restaurierung: der Kodex BPU Genève Ms Gr. 19. In: Care and conservation of manuscripts vol. 8. Copenhagen, Museum Tusculanum Press, 2005.
- 2010:** Giovannini A. De Tutela Librorum, La conservation des livres et des documents d'archives, Baden, 2010.
- Jacob 1964 :** Jacob A., Une version géorgienne inédite de la liturgie de saint Jean Chrysostome // Le Muséon, Vol. 77, 1964.
- McCallum- Ian 1996:** McCallum, R. Ian. "The Ripley Scroll of the Royal College of Physicians of Edinburgh." Vesalius 2 (1996).
- Možir 2012:** Možir A., Gonzalez L., Kralj I., Wess T. J., Rabin I., Hahn O., Strlič M. A study of degradation of historic parchment using small-angle X-ray scattering, synchrotron-IR and multivariate data analysis, Published in Analytical and Bioanalytical Chemistry 402 (2012) 1559-1566.

- Mueler 2002:** Mueller H. Das Pergament, Herstellung und Geschichte Der Ganzpergamentbandheute, Landau, 2002.
- Roberts 1984:** Roberts W. A., Elizabethan Court Rolls of Stokenham Manor in South Devon, 1560-1602. Kingsbridge: WA Roberts, 1984.
- Skemer 1995:** Skemer Don C., From Archives to the Book Trade: Private Statute Rolls in England, 1285-1307. Journal of the Society of Archivists 16 (1995).
- Tarchnišvili 1950:** Liturgia Ibericae Anticuoeres, Interpretatus est Michael Tarchnišvili, CSCO, v.122, Lovanii, 1950.
- Tavadze 2021:** Tavadze Sh. Specificity and features of the restoration of scrolls, Document restoration: conservatism and innovation – 2021, 151-156.
- Tyson 2001:** Diana B. Tyson, The Manuscript Tradition of Old French Prose Brut Rolls, Scriptorium 55 (2001).
- Verhels 2011:** LITURGICA IBERICO_GREKA SANCTI IAKOBI. The Old Georgian Version on the Liturgi of Saint Jame published by Lili Khevsuriani, Mzekala Shanidze, Michael Kavtaria, Tinatin Tseradze; La litirgie de Saint Jean. Retroversion grecque et commentaires par Stephane Verhels. Aschendoorff, Verlag, 2011.
- Zekrgoo 2014:** Zekrgoo S. Methods of Creating, Testing and Identifying Traditional Black Persian Inks // Restaurator. International Journal for the Preservation of Library and Archival Material. 35 (2), 2014.
- Кекелидзе 1908:** Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908.
- 1912:** Кекелидзе К., Древне-грузинский Архиратикон. Грузинский текст, Тифлис, 1912.
- Мецгер 2013:** Мецгер Б. М., Эрман Б. Д., Текстология Нового Завета (Рукописная традиция, возникновение искажений и реконструкция оригинала) Второе издание, переработанное и дополненное, Перевод с английского, Издательство ББИ, Москва, 2013.

გარეკანზე:

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრის
კოლექციებში დაცული გრაგნილი ხელნაწერები.



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ აღლეძის ქ. 1/3. ტელ.: +995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ge

1/3 M. Aleksidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS